


კვირა 5 ენკენ.

ფასი 10 კაპ.



გიორგი წერეთელი

გარდაცვალებიდან 10 წ. შესრულების გამო



მგოსანი ქალი Sazan d'Ary

(კნ. ელ. ირ. ჯამბაკურ-ორბელიანისა)

ფრანგულსა და რუსულ ენებზე სწერს



აკაკი წერეთელი

დაბადებიდან 70 წ. შესრულების გამო

ეროვნული ბიბლიოთეკა


# თეატრი და ცხოვრება

სათეატრო და ჟურნალი

№ 35

წლიურად 5 მ., ნახევარ წლით 3 მ., ცალკე ნომერი 10 კ. ხელის მოწერა მიიღება დრ. საზ. კანტორაში იოსებ იმედაშვილთან

Тифлисъ, Ред. „Театри да Цховреба"
Іос. Зах. Имедашвили.

ხელ მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—ხელთნაწერები საჭიროებისამებრ შესწორდება.—რედაქტორთან პირისპირ მოლაპარაკება შეიძლება შუადღის 12—2 ს. და საღ. 6—7 ს. ტელეფონი № 862.

№ 35 კვირა, 5 ენკენისთვე 1910 წ.


## 5 ენკენისთვე 1910 წ.

**რეპერტუა- რის ხასიათი.** ჩვენი თეატრის გაუმჯობესობის საკითხი გვაიძულებს ზოგჯერ წინათ თქმულსაც დავუბრუნდეთ ხოლმე.

გასული კვირის მეთაურში აღვნიშნეთ, რა გზას უნდა დაადგეს ჩვენი თეატრი და გაკვრით მოვიხსენიეთ რეპერტუარის ხასიათიც.

თანამედროვე თეატრის ერთი მთავარი ძარღვთაგანია რჩეული, დროის შესაფერი რეპერტუარი; უხეიროდ შედგენილი რეპერტუარი სამარეა თეატრისა.

როგორც ვამბობდით, ჩვენი თეატრი ეროვნულ თეატრად უნდა გარდაიქცეს, მთავარი ყურადღება მიაქციოს ორიგინალურ პიესებს, მაგრამ ვინაიდან არ შეიძლება უგულებელ ვყოთ უცხოეთის დრამატიული ლიტერატურა, ამიტომ მასაც უნდა ანგარიში გავუწიოთ, ისე კი, რომ ქართულ თეატრში მოსიარულე საზოგადოება არ ჩამოვიშოროთ.

უპირველეს ყოვლისა, არც ერთი პიესა, მით უმეტეს უცხოური, არ უნდა დაიდგას, ვიდრე ყოველმხრივ საუკეთესოდ არ მომზადდება, მ[illegible]რე—ის უცხო პიესები, რომლებსაც ფეხ-ქვეშ გაქელავენ თბილისის თეატრთა რუსის დასები, შემდეგ ჩვენი საზოგადოების უმრავლესობისთვის საიმისოს არას წრმოადგენს. თუ მაინცა და მაინც უცხო პიესებსაც შევიტანთ რეპერტუარში, ყოველი ღონისძიება უნდა ვიხმაროთ, რომ ადგილობრივ რუსულ დასებზე ადრე დავსდგათ.

ბევრი საყვედური გვსმენია, და ეს არც უსაფუძვლოა, რომ—ესა და ეს პიესა რუსულად გვინახავს და ქართულად რაღად გვინდაო. ნუ დავივიწყებთ იმასაც, რომ ჩვენი დრო ლითონის ბატონობის ხანაა, შედარებით ღარიბი ქართველის ჯიბე ვერ შესძლებს უანგარიშოთ ხარჯოს ფულები, გულითაც რომ უყვარდეს **ქართველობა,** ქონებრივი მხარე ნებას არ მისცემს ერთი და იგივე პიესა მეორედ, მესამედ ნახოს, მით უმეტეს, თუ პირველად რუსულად ნახა და, შესაძლოა, უკეთესად მოწყობილი.

ჩვენმა თეატრმა ესთეტიურ-ხელოვნურ მოთხოვნილების შესრულებასთან ერთად, ნივთიერადაც უნდა მოითქვას სული და ეს მაშინ შეიძლება, როდესაც შეუჩერებლად, ცოცხლად იმოძრავებს,—ფეხ-ქვეშ გაქელილ-გადაღეჭილ რეპერტუარით კი არ გაუმასპინძლდება საზოგადოებას, არამედ რჩეულ და მოწინავე, ახალი რეპერტუარით...

თანამედროვე საზოგადოება ითხოვს ახალს, უმწიკვლოს, შეუბღალავს...

## ბედის სიმღერა

ცით ვარსკვლავები მაფრქვევდენ სხივსა
და ვპოვე კიდე მე უცხო გზისა:—
დილის რიჟრაჟზე მოვკრიფე ნამი,
ფრთებზე ავისხი... დამიდგა წამი
ალტაცებისა —
დავეშვი ზღვაზე, საძებრათ გმირთა —
ვაჟკაცებისა:—
ნამი გვირგვინათ დავადგი ერთსა,—
მსხვერპლად შევსწირე სიწმინდის ღმერთსა!
მაგრამ ის ნამი მიწას დაეცა...
განრისხდა ზეცა!
მწუხარების ზღვამ დამძირა მეცა...

**ბაბილინა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ქართული ენა და ჩვენი თეატრი

ვინც-კი ჩვენი თეატრის მდგომარეობას დაკვირვებია, დადადებს, რომ ჩვენს თეატრს უმთავრესად მოეთხოება ერთი რამე, რასაც სხვაგან საზოგადოთ თეატრისაგან არ ითხოვენ, — სახელდობრ: ჩვენი თეატრი უნდა იყვეს ქართული ენის გამავრცელებელი დაწესებულებაც. მართლაც დღეს, როდესაც ქართული ენა ყველგან და ყველასაგან დევნილია, ვის უნდა შეაფაროს თავი, თუ არა ქართულ თეატრს? დიახ, ვ. დამბაშიძის თქმისა არ იყვეს, ქართულმა თეატრმა უნდა გასწიოს ჩვენში სასწავლებლის მაგიერობაც. იქ უნდა ისმოდეს წმინდა გამომეტყველი და ცოცხალი ენა ჩვენი ხალხისა. თეატრის ენა უნდა ატკბობდეს დამსწრე საზოგადოებას და უნდა უღვიძებდეს სურვილს მის შესწავლისას. მაგრამ სინამდვილეში სულ სხვას ვხედავთ. როგორც სხვა დაწესებულებებში, ქართულს სცენაზედაც ქართული ენა მეტად უნუგეშო მდგომარეობაშია და უყურადღებოდ ეპყრობიან ქართულ ენას. იშვიათია ისეთი მსახიობი, რომ სცენაზე თამაშობის დროს ქართულს ენას არ ამახინჯებდეს, ნამეტნავად ახალგაზდებში. მეტად სამწუხარო და სავალალოა, რომ ქართველი მსახიობი ქართული ენის შესწავლას საჭიროთ არ სცნობს. ქართული ენის უცოდინარობა მსახიობს მაშინ უფრო შეეტყობა ხოლმე, როდესაც როლი არ იცის. სასაცილო და სამწუხარო მდგომარეობაშია მაშინ იგი: როლი არ იცის, ლიტერატურული ენა არ იცის, ძალა-უნებურად რაღასაც სთხზავს და გამოთქვამს თავისი დამახინჯებული ენით. რათ გვინდა, ბატონებო, ხელოვნების ტაძარი, რა სარგებლობას მოგვიტანს ის სამქადაგებლო, თუ შიგ უვიცი მასწავლებლები, უვიცი მოძღვრები გვეყოლებიან?

ქართ. დრამ. საზოგადოების გამგეობა სეზონის გახსნის მოლოდინში დიდ ფაცა-ფუცსა და მზადებაშია. ისინი იწვევენ საუკეთესო ძალებს დასში, აარსებენ რეჟისორთა საბჭოს, ქართულ დრამატიულ კურსებს და სხ. მსახიობთა ქართულ ენის შესწავლაზე კი არაფერი ისმის. ბ.ბ. თუ მიმიკის, პლასტიკის, დიქციის და სხვა კურსებს აარსებთ, რატომ ქართული ენის შესასწავლათ წრეს მაინც არ დაარსებთ?

ჩვენი საზოგადოების ერთი ნაწილი გადაგვარების გზაზეა შემდგარი, მეორე ნაწილი-კი სწორე გზაზე დგება. გადაგვარების გზაზე შემდგარ ქართველობას ქართული ენის ბედიღბალი დიდათ არ აინტერესებს. ქართველ საზოგადოების მეორე ნაწილი კი, რაც ხანი გადის, სამშობლო ენას მით უფრო მეტ მნიშვნელობას აძლევს. გადაგვარების გზაზე შემდგარი ქართველები ქართულ თეატრში სიარულს საჭიროთ არ სცნობენ. ქართული თეატრის მომავალი მათ არ ეკუთვნის. ქართული თეატრის მომავალი მეორე ნაწილისაა. ამიტომ, თუ გვინდა თეატრის აყვავება, საპატიო ალაგი უნდა დაუთმოთ ქართულ ენას. წინააღმდეგ შემთხვევაში, საზოგადოების ეს მეორე ნაწილიც ზურგს შეაქცევს თეატრს. თეატრის კეთილდღეობა ქართველ მსახიობისგან მოითხოვს სამშობლო ენის ცოდნას და მერე რას ვხედავთ? ნაცვლათ იმისა, რომ ქართველმა მსახიობმა ქართული ენა შეისწავლოს, ის საზოგადოებაშიაც კი არ ვარჯიშობს სამშობლო ენაზე. არამც თუ საზოგადოებაში, რეპეტიციების დროსაც-კი უცხო ენაზე ტიკტიკებს. რეჟისორი ვალდებულია, თუ მას თავისი მოვალეობა ესმის, რომ რეპეტიციების დროს მსახიობთ უცხო ენაზე ტიკტიკი აღუკრძალოს. შეიძლება, გადაგვარებულ ქართველთა თვალში რეჟისორის ასეთი მოქმედება შოვინისტურ-ნაციონალისტურად ჩაითვალოს, მაგრამ ამას ყური არ უნდა უგდოს რეჟ-მა. ქართველი მსახიობი სამშობლო ენაზე ლაპარაკით, გარდა იმისა, რომ ენას შეისწავლის მშობლიურ კილოსაც დაიცავს. ეს კი დიდი ბედნიერებაა მსახიობისათვის. მაშინ იგი ავლაბრულ, კინტოურ ან რუსულ კილოს ნაცვლად ქართულ კილოს გაგვაგონებს და მით დაატკბობს ჩვენს სმენას.

მოვიყვან მაგალითს იმისას, თუ რა მავნებლობა მოაქვს მსახიობისათვის რუსულ ენაზე ტიკტიკს: ერთმა ქართველმა მსახიობქალმა, რომელიც ყველგან და ყველასთან რუსულად ტიკტიკებს, ქართული ისტორიული პიესის წარმოდგენის დროს რუსული „ТО ЕСТЬ“ წამოისროლა. წამოისროლა მაშინ, როდესაც პიესაში რუსული სიტყვის ჭაჭანება არაა.

დასკვნა წერილისა ასეთია: ქართველი მსახიობნი ქართულ ენას ყურადღებას არ აქცევენ, რუსულად აზროვნებენ და ტიკტიკებენ. თეატრში მოსიარულე საზოგადოება რაკი წმინდა ქართულს არ ისმენს, თეატრს უფრთხის. თეატრის კეთილდღეობა მსახიობისაგან მოითხოვს სამშობლო ენის ცოდნას: რომელ მსახიობსაც სწადია ქართული თეატრის წინ წაწევა, მისთვის ჩემი მოწოდება არ არის საჭირო: იცოდეთ თეატრი ერთ ბიჯსაც ვერ გადადგამს წინ, თუ მასში ქართულ ენას საპატიო ალაგი არ დაეთმო: ქართული ენის უცოდინარობას ვერ შევსწამებთ ყველა ქართველ მსახიობს, მაგრამ ასეთ მსახიობთა რიცხვი ძლიერ მცირეა...

აქილესი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## გახსენება თეატრის შესახებ

ვარანცოვი რომ მთავარ-მართებლობიდან გადადგა, მისი გეგმა: თუ როგორ უნდა ხალხის მართვა და ქართველების სიყვარულიც თან წაიღო. მის მოადგილედ მურავიოვი დაინიშნა, სულ სხვა გვარ მიმართულებისა და განზრახვის კაცი!.. ყოველი საზოგადო დაწესებულება ვარანცოვისა, რაც კი სასარგებლო და მოსახდენი იყო ქართველობისათვის, მოშალა და მაშინ, რასაკვირველია, ქართულ თეატრსაც მისწვდა: ჩამოართვა ის სუფსიდია, რომელიც მთავრობისაგან ჰქონდა დანიშნული და სახელმწიფო თეატრის კარებიც დაუხშო მათ. გლუხარიჩმა (გ. ერისთავმა), უჯამაგიროდ და უსუბსიდიოთ რომ დარჩა, თავი მიანება ყოველიფერს და გაუდგა გზას სოფლად, შინისკენ. ქართული არტისტები მოულოდნელად



**გიორგი ერისთავი** (1811—1864)

ულუკმაპუროდ მშრალზე დარჩენ. მაშინ ივ. კერესელიძემ, რომელსაც ცოლად ჰყავდა ერთი მოთამაშე ქალთაგანი, იკისრა მეთაურობა: იქირავა ქარვასლა, გამართა შიგ სცენა და შეუდგა საქმეს. მაგრამ ადრე რომ ცოტა ოდნად შეძლებული, თავად-აზნაურობა ვარანცოვის ხათრით დადიოდა თეატრში, ახლა ზედაც აღარ მიეკარა!.. ღარიბ, დაბალ ხალხს კი შეძლება არა ჰქონდა და მიტომაც თეატრმა ერთი სეზონიც ვერ იხეირა და თვითონ კერესელიძესაც ვალები დაატყდა თავზე. სწორეთ იმ დღიდან ყველას გადაავიწყდა თეატრი და რავდენიმე წლის განმავლობაში, მისი ხსენებაც აღარ ყოფილა. მით უფრო, რომ სცენაზე გამოსვლა მაშინ, არა თუ ქალს, კაცისაც კი, დიდ სასირცხო საქმეთ მიაჩნდათ საზოგადოთ.

1862 წ. დროებით ჩამოვედი რუსეთიდან ქუთაისს. აქ ერთი ქართული ენის მასწავლე-



**ივანე კერესელიძე** (1845—1894)

ბელი იყო გიმნაზიაში, მოსიძე; იმან მითხრა ერთხელ: მოდი ერთი ვსინჯოთ და თეატრი გავმართოთ ამ მიყრუებულ ქალაქში, სადაც გასართობი არა არის-რა!.. აქაურებს გაგონებით კი ბევრი რამ გაუგონიათ თეატრზე, მაგრამ თვალით არ უნახავსთ და ვაჩვენოთ ერთიო!..

— კი, მაგრამ ქალი რომ არავინ გამოვა სცენაზე? და უქალოდ როგორ მოვახერხოთ მეთქი,—ვუპასუხე.

— ახალგაზდა ვაჟები მოვრთოთ ქალად.

— ეგეც რომ არავინ იკისროს?

— ვსინჯოთ!.. ვეცადოთ!

გადავსწყვიტეთ და ხმა რომ გავარდა: თეატრი უნდა წარმოადგინონ, თუ მოახერხესო, მაშინ ერთმა ახალგაზდა ქალმა, ნინო აბაშიძისამ (დღეს ორბელიანისამ) სთქვა: არა თუ მე გამოვალ სცენაზე, ჩემ მეგობარ-ქალს კეკელა აგიაშვილისასაც (დღეს დადიანისას), ავაგულიანებო! და მართლაც იკისრეს როლები. იმათ, როგორც ოჯახის შვილებს, სხვებმაც მიჰბაძეს და გაიმართა რეპეტიციები!.. ავირჩიეთ „მზის დაბნელება". ხან ერთისას და ხან მეორისას ვიყრიდით თავს და დროს ვატარებდით ქართულად: ლხინითა და მხიარულობით. წარმოდგენამდე რამდენიმე დღე იყო დარჩენილი. ერთი რეპეტიცია პარასკევს შეგვხვდა. იმ დროს მარხვას არავინ სჭამდა და მასპინძელმაც ვახშმად სულ სამარხო მოიტანა. ნავახშმევს სუყველა ავად გახდა, ხოლერა გვეგონა და შევშინდით. თურმე მზარეულს ფლავისთვის

ნიგვზის ზეთის მაგიერ, შეცდომით სასაქმებელი ზეთი ექმნა. ამ გარემოებამ რამდენიმე დღით კიდევ გადაგვადებინა წარმოდგენა. ბოლოს, როგორც იქმნა, წარმოვადგინეთ. ზოგიერთი დარბაისლები, ძველი კაცები, სჯავრობდენ: ჯამბაზობა და მაიმუნობა რა საკადრისიაო. მაგრამ უმეტესობა კი კმაყოფილი დარჩა და იმ ზამთარში კიდევ ორჯელ-სამჯერ წარმოვადგინეთ და დიდი ამბავიც იყო ხოლმე ყოველთვის.—

გაზაფხულზე მე ისევ რუსეთისკენ დავბრუნდი და თეატრის მოყვარულთა წრეც დაიშალა.— ის იყო და ის!.. მერე ხუთი წლის განმავლობაში, სანამ რუსეთიდან არ დავბრუნდი, თეატრის ხსენებაც არ ყოფილა არც თბილისში და



**რაფიელ ერისთავი** (1824—1901)

არც ქუთაისში. იმ დროს ქუთაისში გუბერნატორად იყო გრაფი ლევაშოვი და მისი მეუღლე გრაფინია ლევაშოვისა, რომლის ხელშიაც „ქალთა უფასო სკოლა გახსნეს“, სცდილობდა რომ, რითაც კი შეიძლებოდა: შემოწირულებით, ქველმოქმედობით, თუ სხვებრ, როგორმე იმ სკოლისათვის მოეგროვებია რამე, და ამ მიზნით ერთხელ სალიტერატურო საღამო გამართა, რაც იმ დროს ჩვენში არ გაგონილიყო. ბილეთები მიაჩეჩეს საზოგადოებას და ზალაც გაივსო... მკითხველები გიმნაზიის მასწავლებლები იყვნენ და ჰკითხულობდენ თავ-თავის საგნებიდან: ვინ ისტორიიდან, ვინ ზოოლოგიიდან, ვინ ბოტანიკიდან და ამ გვარად... მაყურებლებსა და მსმენელებს ძილი შემოეპარათ. —ბოლოს გამოვედი სცენაზე მეც. „სცენები საპყრობილეში“ ახალი დაწერილი მქონდა და დავიწყე მისი სხვა და სხვა ხმით კითხვა ზეპირად.—უნდა გამოვტყდე, რომ ის კითხვა დიდი არა იყო რა, მაგრამ გამოფხიზლებულ პუბლიკას მოეწონა, ასტყდა სიცილ-ხარხარი, და იმდენად მოეწონა, რომ ითხოვა განმეორება. ამ გარემოებამ დაარწმუნა გრაფინია, რომ კვირაში ერთხელ გასართობ რამის გამართვა ქუთაისში შესაძლებელი იქნება და ყოლიფერს აჯობებს თეატრიო. დაიბარა მაშინდელი მომრიგებელ-მოსამართლე რაფაელ ერისთავი და იმას დააკისრა მეთაურობა. რ. ერისთავმა მე მთხოვა დახმარება და „სახელმწიფო სახლში“ გავმართეთ სცენა. კვირაში ერთხელ კვირა დღეობით და აგრეთვე დღესასწაულებზე იმართებოდა ხოლმე წარმოდგენა. არ ვიცი, გრაფინიას ხათრი იყო, თუ თვითონ თეატრის, მაგრამ ხალხი კი დიდ-ძალი დაიარებოდა, ასე რომ თეატრის შემოსავალი ინახავდა „ქალთა უსასყიდლო სკოლას“. აქ უნდა მოვიხსენიო გაკვრით, რომ იმ დროს ფოთიდან თბილისამდი გაჰყავდა რკინის გზა ინგლისის კამპანიას და ინგლისელები ოციდან ოცდაათ კაცამდე ყოველთვის ესწრებოდენ წარმოდგენებს. მესამე წყება ჰქონდათ აღებული; ყველაზე ადრე მოდიოდენ და ყველაზე გვიან მიდიოდენ; წარმოდგენის დროს ისხდენ ხმა ამოუღებლად, გაუნძრევლად ქანდაკებასავით და რა იზიდავდა მათ, დღესაც არ ვიცი?!.—ასე თუ ისე, იმ ორმა სეზონმა მატერიალურის მხრივ კარგად ჩაიარა: და სულის ჩამდგმელიც იყო ეფროსინე კლდიაშვილისა.

(შემდეგი იქნება)



ეროვნული ბიბლიოთეკა

# დასავლეთ ევროპის ლიტერატურა
## ხანა კაპიტალიზმის აღყვავებისა
### III

(გაგრძელება. იხ. „თ. და. ც“ № 34)

კაპიტალისტურ ურთიერთობის განვითარებასთან ერთად, საზოგადოება ორ დიამეტრალურ მოწინააღმდეგე კლასად გაიყო; ეს ორი კლასი—ბურჟუაზია და პროლეტარიატია. ამავე დროს ლიტერატურამ სოციალურ კითხვის სახით ახალი თემა შეიძინა. თუმცა დიდი არ იყო რიცხვი იმ ნაწარმოებთა, რომელნიც შრომისა და კაპიტალის ურთიერთობას იხილავდენ, გაბატონებულ კლასს ინსტინქტიურად ეშინოდა ამ თემისა და განხილვა-შესწავლის უფლებას არ აძლევდა მწერლებს. ბურჟუაზიულმა საზოგადოებამ აიძულა ჰაუპტმანი, სახალხოდ ეღიარებინა, რომ მის დრამას „ფეიქრებს“ რევოლიუციონური-კი არა, ფილანტროპიული მიზანი აქვს დასახული; იმავე საზოგადოებამ აიძულა ცენზურა აეკრძალა კოპეს პიესის „მღვდელი“-ს წარმოდგენა მხოლოდ იმიტომ, რომ ამ პიესაში მოქმედება პარიზის კომუნის დროს სწარმოებს. დიდი უმრავლესობა იმ მცირეოდენ ნაწარმოებთა, რომელნიც იხილავდენ სოციალურ კითხვას, გაჟღენთილი იყოს, სოციალიზმისადმი ზიზღით; ამ თხზულებათა მიზანი იყო, ბინძურებისა და ტალახისათვის შეერია პროლეტარიატის რევოლიუციონური მოძრაობა. ასეთი იყო, მაგალ. კრეცერის რომანი „სოციალიზმის ქარიშხალში“, სადაც გერმანიის მუშათა სოციალ-დემოკრატიული პარტია ანგართა და თავმოყვარეთა ბრბოდ იყო დასახელებული. თუ რომელიმე მწერალი სოციალიზმისადმი სიმპატიას გამოააშკარავებდა, ამას პროლეტარიატის ინტერესების დაცვასთან არავითარი კავშირი არ ჰქონდა. ეს სიმპატია სინიდისის მხილების ნაყოფა იყო, ვინაიდან, ამ მწერლების აზრით, სოციალიზმი პოლიტიკურ მოძრაობას-კი არ წარმოადგენდა; იგი იყო ფილანტროპიული გულის ნადები. ჰაუპტმანის დრამაში: „მზის ამოსვლის წინ“ ლოტი სოციალისტი ხდება მხოლოდ იმიტომ, რომ თავისი თვალით ნახა ერთი პროლეტარის ოჯახის გაჭირვება და დალუპვა და რომ ამ სურათის შემდეგ მას არ შეუძლია მშვიდად იცოცხლოს. ეგეც არ იყოს, ამ მწერლების თვით სოციალისტური სიმპატიებიც არა საიმედო და შემთხვევითი იყო. მეოთხმოცე წლების გერმანელი ნატურალისტები (ჰაუპტმანი, შლიაფი, ფულდი), რომელთაც თავისი მოღვაწეობა პროლეტართა ინტერესების დაცვით დაიწყეს, ოთხმოც და ათიან წლებში გაბატონებულ კლასს მიემხრნენ.

ეს მწერლები თავის სოციალურ მდგომარეობით წვრილ ბურჟუაზიას უახლოვდებოდენ; ხშირად ამ ბურჟუათა წრესაც ეკუთვნოდენ. ამიტომ იყო, რომ სოციალურ საკითხის გადაწყვეტის დროს, ისინი რევოლიუციას-კი არ მოითხოვდენ, არამედ ზავის დადებას. ამ მწერლების აზრით ქვეყნის ხსნა კლასობრივ ბრძოლაში-კი არა, მათ თანამშრომლობაში იყო. ამ მწერლებს ხშირად გამოყავდათ იდეალური მწარმოებელი, რომელიც დიდს მოგებას უარყოფდა და მუშათა კეთილდღეობას ეტრფოდა (იბსენი: „საზოგადოების ბჯენი“ და ზუდერმანი: „ქვის მთლელნი„) ამ მწერლების ნაწერებში ხშირად შეხვდებოდით სოციალურ მშვიდობიანობის მქადაგებელსაც (ბეტხერი: „ჯანყი“); ესენი ურჩევდენ მუშებს ბურჟუაზიასთან შეერთება სოციალურ პრობლემის საუკეთესო და მეტად ჭეშმარიტი გარდაწყვეტა იქმნებაო (ზუდერმანი: „პატიოსნება“, კრეცერი: „სოციალიზმის ქარიშხალში“). ბუნებით შერიგების მოტრფიალე მწერლები დიდის სიამოვნებით ამთავრებდენ სოციალურ კონფლიკტს შერიგების აკორდით, მშვიდობიანობისა და სიყვარულის იდილიური სურათით (მარიამ დელე გრაციე: „კატასტროფა“; ბიერნსონი: „ჩვენს ძალს აღემატება“). წვრილ ბურჟუათა წრიდან გამოსული, თვით მდგომარეობითაც წვრილი ბურჟუა მწერლები, რასაკვირველია, აგოგმანებდენ ინდივიდუალისტურ ანარქიზმს და უფრთხოდენ კოლექტივისტურ სოციალიზმს (ზოლა: „პარიზი“; მირბო: „ცუდი მწყემსნი“; პშიბიშევსკი: „სატანას შვილნი; მაკაი „ანარქისტები“).

ძნელი საჩვენებელი იყო ისეთი ნაწარმოები, რომელსაც განეხილოს სოციალური საკითხი, და გაჟღენთილ ყოფილიყოს არა ბურზუაზიულ და ინტელიგენტურ სულის კვეთებით, არამედ პროლეტარულით. შესაძლებელია, პროლეტარულ ყოფა-ცხოვრების საუკეთესო სურათი, მიუხედავათ აშკარა ბურჟუაზიულ ტენდენციისა, ზოლას რომანი „ნახშირის მაღაროში მომუშავე“—იყო.

რომანის მოქმედება სწარმოებს პროლეტარულ მოძრაობის ისტორიის სასახელო დღეს, ინტერნაციონალის აღორძინების დროს. შემაძრწუნებელ სურათით გვიჩვენებს ზოლა, თუ მაღაროში მომუშავეთა შრომის აუტანელი პირობანი როგორ ამახინჯებენ მათს ზნესა და ფსიხიკას, და მთელის მოდგმის ფიზიურსა და მორალურ მხარეს ათახსირებენ. ეს მომუშავენი, დამონებული ეს მასსა ბუნდოვანად გრძნობს, რომ მას ყავს ერთი საერთო, ძნელად დასაკოდი მტერი. მუშები დარწმუნებული იყვენ, რომ სადღაც არის იდუმალი, ძალიან შორი მხარე, და იქ თორაში, სამეფო ტახტზე ზის უცნობი ღმერთი—კაპიტალი. მუშები ვერ ხედავდენ მას, ხოლო შორიდან გრძნობდენ მის ძალას. ეს ბუნდოვანი ზრახვანი, დაბოლოს, ბურუსს იშორებენ: მოწინავე მუშები ვნებით აღსავსე სიტყვებით მოუწოდებენ გათავისუფლებისადმი. და აი, მათს გარშემო ყოველივე ილვიძებს. ჰორიზონტი განიერდება. მაღაროს მუშათა შავ-ბნელ ცხოვრებაში სინათლის ცხოველმყოფელი შუქი იჭრება. „გულკეთილი ღმერთი თუ მოკვდა, დარჩა სამართლიანობა და იგი განამტკიცებს დედამიწაზე ყოველისავე ადამიანის ბედნიერებას“. ერთ ადამიანისავით მხედრდებიან მაღაროს მუშები თავის უფლებათა დასაცველად: ქალები წინ მიუძღვიან. ყველა მზად არის მოწამეობრივ თავგანწირულებისათვის. სიკვდილსა რჩეობენ დამორჩილებას. და რავდენად გაფიცვა იზრდება, რავდენად გაფიცვას მეტი მუშა ემხრობა, იმდენად იზრდება რელიგიური აღფრთოვანება, იმდენად შორდებიან მუშები ყოველსავე ქვეყნიურს.

(დასასრული იქნება)

**პეტრე დადვაძე**

## სპარსეთი და ხელოვნება

წელს სპარსეთში ორი დირს-შესანიშნავი ამბავი მოხდა; ორივე—ისეთი მნიშვნელოვანია, რომ სპარსეთის განმათავისუფლებელ მოძრაობის ისტორიაში ოქროს ასოებით უნდა იქმნას ჩაწერილი. დაიდგა სპარსულად თარგმნილი „რევიზორი“ გოგოლისა, და სპარსელ ქალთა საქველმოქმედო პირველმა საზოგადოებამ გამართა პირველი წარმოდგენა ქალთა მონაწილეობით.

400 წლის წინად სპარსეთის შაჰმა გამოსცა ბრძანება, სპარსელ ქალთა მამაკაცთათვის არ ეჩვენებიათ პირის სახე. ამიტომ ყველას ჩადრი უნდა წამოესხა. საშინელ იჭვიან შაჰს სურდა თავისი ცოლების სახის სილამაზის დაცვა და იფიქრა—მარტო ჩემი ცოლების სახე რომ დავფარო, ქვეშევრდომნი დამცინებენო, და ამიტომ საერთო ბრძანება გასცა ყველა ქალების შესახებ. პირმოთნე სამღვდელოებამაც, რასაკვირველია, მხარი დაუჭირა მეფეს და მისი სურვილი ყურანიდან ამოღებულ სიტყვებით საღვთო კანონად დაამტკიცა.

მას აქედ საბრალო სპარსელი ქალები ჰარამხანაში იყვენ ჩაკეტილნი; რა ხდებოდა ქვეყანაზე—არ იცოდენ; მხოლოდ თავიანთ მბრძანებელთ უკლავდენ ჟინს... 9 აპრილს ამ უდანაშაულოდ დასჯილმა ტყვეებმა გახიეს საზიზღარი ჩადრი, გადააგდეს ჰარამხანის ზღუდეს, გადალახეს 400 წლის განმავლობაში გამეფებული წესი. ამ დღეს პირველად გაიღო ჰარამხანის კარები და გამოჩნდა ზღაპრული სიმდიდრე და სილამაზე.

მაგრამ ვინ აღწერს, რა ტანჯვა-წვალება დასჭირდათ საცოდავ ტყვეებს, სანამდის სანატრელ თავისუფლებას მიაღწევდენ!...

ოთხი-ხუთი თვე დაუღალავი მუშაობა, ჰარამხანებში მალვით „მიტინგების“ გამართვა და სხვა ფარული მუშაობა, რათა რომელიმე მოლას არ გაეგო და „დამნაშავე“ წყევა-კრულვით არ განედევნა საზოგადოებიდან,—აი რა გადაიტანეს სპარსელმა ქალებმა!...

ათასი დაბრკოლება გადალახეს მათ, არ შესდგენ საზოგადოებისაგან განდევნის შიშის წინაც და პოლიციელების დახმარებით გამართეს წარმოდგენა. არამც თუ საზოგადოების დარბაზში, სცენაზედაც კი გამოჩნდა უპირბადო ქალი. წარმოდგენისთვის მთავრობის განკარგულებით დაეთმოთ სადარზამის მშვენიერი სასახლე ბაღით.

ბაღისა და სასახლიდან დილიდანვე გამოისტუმრეს მამაკაცნი, მათი ჭაჭანებაც-კი არსად იყო. ყოველ შესასვლელს პოლიციელნი და ჟანდარმნი იცავდენ. მაგრამ მოვიდა დრო, როდესაც აღარც მამაკაცთა ახლო ყოფნა დაუშლის მათ პირბადის მოხდას. მხოლოდ ახლა შეიძლება ლამაზის ულამაზოსაგან, ახალგაზდის მოხუცისაგან გარჩევა. მხოლოდ ახლა შეგვიძლიან ვსთქვათ, რა ღვთაებრივი სილამაზე, მოელვარე შავი თვალები და მოციმციმე ტკბილი ბაგენი იფარებოდენ ჩადრში. ერთი რამ კი არ იყო სასიამოვნო. ახლავე ეტყობოდა ევრო-

პიული კულტურის გავლენა სპარსულ ტანისამოსის აუწერელ სილამაზეს: ახლავე აუშნოვებდა მშვენიერ, თავისუფლად მოყვანილ ტანადობას უმსგავსო კორსეტი. ვშიშობ, როგორც იაპონელების კეკლუცი ეროვნული ტანისამოსი გააქვავა უშნო ევროპიულმა სერთუკმა, ისე აქაც არ მოხდეს და ზღაპრული სილამაზე აზიური კოსტიუმის არ განდევნოს სხვა და სხვა «chantecleure»-მა.

პირველ მოქმედებაში ახალგაზდა სპარსელმა ქალმა წაიკითხა ლექცია: „სპარსელი ქალი ნამწყოსა, აწმყოსა და მომავალში"; მეორე ლექცია ეხებოდა: „თეატრისა და მის მორალურ მნიშვნელობას".

მეორე მოქმედებაში დადგმულ იქმნა ცოცხალი სურათები სუმბათაშვილის პიესა „ღალატი"-დან. აქ მონაწილეობა მიიღეს სპარსელმა ქალებმა.

ასეთმა წარმოდგენამ დიდი აღფრთოვანება ჩანერგა სპარსელ ქალების გულში. წარმოდგენის გათავების შემდეგაც დიდხანს არ დაშლილან და ერთმანეთს უზიარებდენ შთაბეჭდილებას.

მეორე სამაგალითო ამბავი იყო სპარსულად რევიზორის დადგმა.

სპარსეთი და.... ეროვნული სცენა. ეს ისეთი ამბავია, რომლის დაჯერება ძნელია ბევრთათვის. მაგრამ ასეთი ფაქტი ნამდვილია. წელს დაარსდა პირველი ასეთი საზოგადოება და წელსვე გაიმართა პირველი წარმოდგენა, დადგეს რუსულიდან ნათარგმნი „რევიზორი".

პირველი ნაბიჯი ხელოვნებისაკენ... პირველი წარმოდგენა განთავისუფლებულ მონების... სწორედ სასიამოვნო და მისალოცი მოვლენაა.

საღამოს გამმართველი და სულის ჩამდგმელი იყო ქალბატონი არმან ოგანიანი. დიდი ჯაფა და მოთმინება დასჭირდა ხელოვნების ამ მხნე ქურუმს ვიდრე მიზანს მიაღწევდა. არ იყო თეატრი, დეკორაციები, არამც თუ თამაში არ იცოდენ, არამედ უმეტესი მათგანი თეატრშიაც-კი არ ყოფილიყო, წარმოდგენა არ ენახა.

აი, ასეთი დაბრკოლებანი გადალახა ქ-ნმა ოგანიანმა და მიზანს მიაღწია. სპარსელები დიდის აღტაცებით მიეგებენ ოგანიანის განზრახვას და, რაც კი შეიძლებოდა, ყველაფრით ხელს უწყობდენ, მაგრამ რა უნდა ექნათ მათ, როდესაც მაგალითად, ვერას გზით ვერ იშოვეს მოთამაშე ქალი და ამიტომაც უნდა ამოეშალათ უნტერ ოფიცრის ქვრივის როლი. დანარჩენი ქალის როლებიკი ქ-ნმა ოგანიანმა და ერთმა სომხის ქალმა შეასრულეს სპარსულად. ქ-მა ოგანიანმა ამ მიზნით მოკლე ხანში შეისწავლა სპარსული ენა.

პირველი ცდა, რასაკვირველია, უნაკლო არ იყო. ბევრი სასაცილო შემთხვევა მოხდა; მაგალითად: ოსიპის როლის შემსრულებელს გამოსვლისთანავე მოსძვრა მიკრული ულვაშები, სპარსული საღამი და ადათებიც გაურიეს შიგ, მაგრამ თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ ასეთი შემთხვევები ხშირია არამც თუ სცენის მოყვარეთა შორის (აქ კი სცენის მოყვარეებიც არ იყვნენ), არამედ ნამდვილ, გამოცდილ მსახიობთა შორის, ასეთი ნაკლი არაფერია.

სამაგიეროდ პიესა მხატვრულად მოაწყეს. ყველაფერი თავის ადგილას იყო. მსახიობნი თავთავის დროზე გამოდიოდენ და შემოდიოდენ; როლები ზეპირათ შეესწავლათ. გოროდნიჩის როლის შემსრულებელი საუცხოვო იყო. სპარსელები აღტაცებული უსმენდნენ პიესას. პიესის შემდეგ ბევრი ამბობდა: „რუსეთი—ნამდვილი სპარსეთი ყოფილა. იქაც ისეთი მექრთამეები ყოფილან, როგორც სპარსეთშიო". სპარსელები დარწმუნებული არიან, რუსეთში ახლაც სკვოზნიკ-დმუხანოვსკები მეფობენ. დაუშვა თუ არა ფარდა, სპარსელები სცენისაკენ გაქანდენ და თითქმის ყვავილებში ჩაფლეს ქ-ნი ოგანიანი, რომელსაც ალმასებით შემკული სამაჯური მიართვეს. წარმოდგენას დაესწრენ: მინისტრთა საბჭო, პარლამენტის თავჯდომარე, წევრები და მთელი ინტელიგენცია.

**სო—ლი**

ტეგერანი
30 ივნისი, 1900 წ.



დუტუ მეგრელი
30 წ. სამწერლო მოღვაწეობის შესრულების გამო



**მგოსანი ქალი Sazan d'Ary**
(ქნ. ელ. ირ. ჯამბაკურ-ორბელიანისა)
ფრანგულსა და რუსულ ენებზე სწერს

## ილია ჭავჭავაძის პანაშვიდი

კვირას, 29 აგვ., მამადავითის მონასტერში გადახდილ იქმნა პანაშვიდი მგოსნის ილია ჭავჭავაძის სულის მოსახსენებლად. მას შემდეგ, რაც დიდებული მგოსანი შესანიშნავად დასასაფლავეს, მას შემდეგ რაც ისეთი სიტყვების რახი-რუხი გავიგონეთ დასაფლავების დროს, გვეგონა, ქართველობა, განსაკუთრებით ინტელიგენცია, უბრალო საქმეს, პანაშვიდზე დასწრებით მგოსნის პატივის ცემას, მაინც შესძლებდა, მაგრამ, სამწუხაროდ, აქაც გაგვიცრუვდა იმედი. ტყუილად კი არა სთქვა პატივცემულმა მღვდელმა კარბელაშვილმა ნ. გაბ. ცაგარლის დასაფლავების დროს: „ჩვენ, ქართველებმა მხოლოდ კარგი დამარხვა ვიცით კაცისაო“. დიაღ, მშვენივრად ვმარხავთ და განა მარტო მკვდრებს—ცოცხლებსაც. თუ კი დავმარხეთ, გათავდება ყველაფერი.

მოიგონეთ საბრალო შ. ჩიტაძე, რომელმაც სამი წლის განმავლობაში საქოთქოთო მყრალი ჭაობი ჩვენი ცხოვრებისა, კაცი, რომელმაც ამ მცირე ხნის განმავლობაში უფრო მეტი გააკეთა, ვიდრე მთელმა ჩვენმა ინტელიგენციამ ზოგიერთ დამსახურებულთა გარდა!. წელს და შარშან არც კი გაგვხსენებია იმის სახელი, პანაშვიდს ვიღა ქეებს.

მაგრამ ჩვენ ასეთი ბედშავნი ვყოფილვართ და გარეგან ტანჯვას შინაური ნაღველიც უნდა დაუმატოთ.

ილიას პანაშვიდი გადიხადეს არქიმანდრიტებმა: ანტონმა და დოსითეოსმა კრებულის თანადასწრებით. სასაფლაო საუცხოვოდ იყო შემკული ვარდებით და ფოთლებით. პანაშვიდს დაესწრენ: მგოსანი აკაკი წერეთელი, თავისი შვილით, თავად-აზნაურობის წინამძღოლნი თავ. გ. ა. ბაგრატიონ-დავითაშვილი, თავ. დ. გურამიშვილი, წევრნი წერა-კითხვის საზოგადოებისა, სათ. აზნაურთა გიმნაზ. მზრუნველნი და მასწავლებელნი, ჟურნალ. გაზ. წარმომადგენელნი, ზოგიერთი მსახიობი და სხვანი.

მომეტებული ნაწილი კი მოსწავლე ახალგაზდობა იყო. სიტყვები წარმოსთქვეს მღვდელმა ასათიანმა, რომელმაც სიმართლიანად დაჰგმო ქართველ საზოგადოების გულცივობა და მხცოვანმა მგოსანმა აკაკიმ. აქვე ვბეჭდავთ **აკაკის** :სიტყვას

“**ბ-ბო** ნაცარქექიების ფართიფურთზე ძველთაგან ერთი ანდაზა გვაქვს დარჩენილი: „შორიდან მტერს უხეთქს გულს და ახლო-მოყვარესო.„ ჩვენდა საუბედუროდ, ეს ანდაზა შესისხლხორცებული გვაქვს დღევანდელ ქართველებს: ენით ყველაფერი ვართ და საქმით კი—არაფერი. ჩვენი საზოგადო მოღვაწეები სიტყვით ცამდინ აგვყავს და საქმეს კი განზე გაურბივართ ხოლმე. ამას დღევანდელი დღეც გვიმტკიცებს!. მას აქეთ სამი წელიწადია, როცა ამ დიდ-ბუნებოვან ქართველს საარაკოდ ვმარხავდით, და ვინ იცის, რა პირობას არა ვდებდით მაშინ? დღეს რასა ვხედავთ? აგვისრულებია ანც ერთი? სად არიან დღეს ის ქართველები რატომ არსად სჩანს ის მაღალი წოდება, რომელსაც ჭავჭავაძის სუფრაზე პირველი ადგილი ეჭირა და განსვენებულის, ვითომ თაყვანის-მცემელიც იყო? დღეს რატომ აღარ არიან ერთი—ორის მეტი, მაშინ, როდესაც ერთი ვინმე ჩინოვნიკისათვის თავის მტვრევა აქვსთ ხოლმე, რომ უმაღლესად ასიამოვნონ. სად არიან ჩვენი სხვა და სხვა დაწესებულებათა მეთაურნი? ვაი, ქართველების გულ გრილობას და მარტო ენის გადაყოლებას! მაგრამ რას ვამბობ? ხალხის რა ბრალია? ჩვენი დაბალი, ღარიბი ხალხი კეთილ გრძნობებით არის გამსჭვალული, რაც კი შეუძლია, თავს არ იზოგავს, მაგრამ მეთაურები არა ჰყავს შესაფერი!—ტყვილა კი არ არის ნათქვამი: „ხელი ხელს ჰბანსო.“ ის ვაჟბატონები, რომელთაც ჩვენი დაცემული ცხოვრების სათავე უჭირავსთ ხელში, ერთი ერთმანეთს მიდგომით ირჩევენ და საზოგადოებაზე არა ჰფიქრობენ!... საკუთარი, საპირადო ხაზი და ლარი გაჰყავთ ცხოვრებაში და საქმის მაგიერ ენას ატრიალებენ, — და მაშ როდის? როგორღა უნდა დასდგეს ის დრო, რომელსც ნატრობდა განსვენებული და რომელსაც თავიც შესწირა? დიახ თავი შესწირა და კურთხეულიც იყოს მისი სახსენებელი.»

ეროვნული ბიბლიოთეკა

## გაზაფხულის ღამე

ცელქი სიო ალტაცებით ბუჩქნარს დალალს უხუჭუჭებს,
და პეპელა, ძალ-მიხდილი, ჩასძნობია ვარდის ტუჩებს;
მთვარე ყინვით ნაკვეთ მწვერვალს მხურვალებით ლოცავს, კოცნის,
და ხანდასმით ისმის ჰანგი გულჩათუთქულ ღამის მგოსნის.

*
* *

იადონო! ერთხელ კიდევ გამაგონე ხმა გრძნეული;
არა მძინავს და ყურს გიგდებ სევდიანი, იჭვნეული.
ბუჩქის ძირას ფეხ-აკრეფით, ახლო... ახლო მოვირბინე,
გადმეშალა ფიანდაზად ძირს მინდორი მობიბინე.

*
* *

არ ვიცოდი—რა მინდოდა, არ ვიცოდი - რას ვიცდიდი,
ცას მხურვალედ მივაშტერდი და სიმწარით ავქვითინდი.
ნიავი კი ალტაცებით ბუჩქნარს დალალს უხუჭუჭებს,
და პეპელა, ძალმიხდილი, ზედ ადნება ვარდის ტუჩებს...

გ. ტაბიძე



სომეხთა დრამატურგი შირვანზადე. ქანდაკება ი. ნიკოლაძისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

## სიკვდილს არავინ გადურჩება

1

ტყის შუაგულში სიჩუმე ირღვეოდა; ფოთლები ხმას იღებდენ, ხეები ირხეოდენ, და გაუვალი გზა იკეცებოდა. გრძნეული ჭაბუკი წინ მიდიოდა. თვალ-უწვდენელი და საშინელი იყო მისი გზა, სრულიად უცნობი და გაუვალი ადამიანის მიერ. უკვდავ დროთ მიერ შექმნილი ტყე, უკვდავი და დაუსრულებელი ისე, როგორც თვით უკვდავება, მუდმივი და გაუთავებელი ისე, როგორც საუკუნოება, იკაფებოდა და ახალგაზდა ჭაბუკი, სულიერი სილამაზე, ახოვანი მხატვრობა წინ მიდიოდა. მის გაბედულ ნაბიჯს, თავგამოდებულ გატაცებას და შეუდრეკელ მისწრაფებას მოესყიდა ამაყი ბალახი; მის მშვენიერ რხევას ტანისას ჰაერი დაეთრო და ვით ერთგული კეთილი ფინია, ჭაბუკს მისდევდა, ცმუკავდა, ცუნცრუკებდა. თვითონ ეთერი შენატროდა მის დაუსრულებელ მშვენიერებას, ქედს რომ იხრიდა, ამასთანავე ტკბილს მელოდიას უგალობდა: „ვაშა, ზექმნილსო“ მიმღერიდა...

და **ის**, ლაღი ჭაბუკი, წინ მიდიოდა.

2

იქ, შორს, ჰორიზონტს იქით, სად უკვდავება მედიდურად განისვენებდა საუკუნოება ლაღობდა და ნავარდობდა, სწორედ იმ ადგილს, სადაც ტყე თავდებოდა და მთის მწვერვალი ამაყურად გადმოჰყურებდა მთელს მსოფლიოს, მზეს და აფროდიტს ეჯიბრებოდა და, ვითა ბალღი, უსუსური, ღიმილით ეუბნებოდა: „მე გჯობივარ“! აი, იქ, იმ დიდებულ ტახტისკენ მიისწრაფოდა **იგი**, მაშვრალი. ეს ტახტი იყო წარმტაცი, მომხიბლავი; მარგალიტებით მოჭედილი მშვენიერებით ბრწყინავდა, სილამაზით ელვარებდა, ბედნიერებით ილიმებოდა. მის ძლიერებას, სიდიადეს მონად გაეხადა ადამიანი და **ისიც** უერთგულესის ენერგიით, შეუდრეკელის თავგამოდებით მისკენ იკაფავდა გზას. ბუმბერაზი ანდამატისა წარმოუდგენელის ძლიერებით იზიდავდა თავისკენ ადამიანს. ეს ის ტახტი იყო, რომელმაც ძილი დაუფრთხო **მას**, მოსვენება შეურყია, ნერვები აუმოძრავა, აუთამაშა სისხლი, გამოიყვანა ცნობიერების სამეფოში და გზათ გაუყენა.

და **ის**, შეუდრეკელი ადამიანი, წინ მიდიოდა.

3

დრო გადიოდა. სიჭაბუკე უკან მისდევდა. დრო თვალთმაქცობდა, ცრუობდა, არა ურცხვობდა; სიჭაბუკისთვის ჭაპანი გამოება და თან მიეზიდებოდა. **ის** მიდიოდა და თან ფიქრობდა. დიდებული ტახტი, ბრილიანტებით მოჭედილი ვარსკვლავივით ციმციმებდა, არ ახლოვდებოდა. **ის** ქსელში ეხვევოდა, ფიქრები ბადეს აბამდენ. და ჰაერი აზრს გაეტაცნა, ნიავი ჭკუას ძალას ატანდა, ფოთლებს შრიალი გაჰქონდა, ხეები ირხეოდენ და ეთერსაც სახეზე ფიქრთა ფიფქი გადაფაროდა. დრო მიდიოდა, და როგორც ხელოვანი ქურდი, გულქვა და მშიშარა, ჭალარა ფეხ-აკრეფით ეპარებოდა **მას**, ბოროტი ზრახვა ჩაედო გულში და გამანადგურებელის სიჩუმით მიძვრებოდა.

რავდენი აზრი, რავდენი მოგონება დატრიალდა **მის** თავში. აგერ გადიშალა **მის** წინ მთელი კრებული სამწუხარო მოგონებათა, მთელი მისი წელიწადებითი ტანჯვა, ვაება კვლავ ხორცშესხმული გამოეცხადა **მას**, და მისი სახე, საცოდავი სახე დაღრიჯა.

**მისი** სიცოცხლე განუწყვეტელს ბრძოლას წარმოადგენდა, მრავალი დამცირება და უბედობა აეტანა **მას**, მაგრამ **იგი**, უკვე ხანში შესული, იმედს მაინც არა ჰკარგავდა. ბრძოლაში ნაცადს ვერავითარი გაჭირვება ვერ მოსტეხდა კისერს და მისი გულის გამგმირავი არავინ იყო. გული **მისი** იყო უმაგრესი რკინისა და სული—ფოლადისა.

და **ის**, ხანში შესული ადამიანი, წინ მიდიოდა.

(შემდეგი იქნება)

**ჯურლმული**

## კითხვა

ოჰ, რისთვის ვცხოვრობთ, ამ ქვეყნად, რისთვის,
რად უნდა ვზიდოთ წამების ჯვარი,
თუ ჩვენს ცრემლებზე განებივრდება
ბრბო გარეწართა... პილატეს ჯარი?

ახ, რად შევხარით სხივ-მფენ განთიადს,
რად გვაფრთოვანებს დღის გათენება,
თუ იგივე მზე, იგივ ნათელი
არ-ყოფნის უფსკრულს ჩაესვენება?

ჰო, თქვენა გკითხავთ... მაგრამ ვის ესმის
მწირ უდაბნოში ზარის წკარუნი!..
რა ადგილი აქვს იქ ასეთ კითხვას,
სად სმენას ახშობს ბორკილთ ჩხარუნი?!

**ლ. მამიაშვილი**



## ივანე შარაშიძე

(მისი მოღვაწეობის ოცდა-ათი-წლის მოახლოვების გამო)

ვინც ჩვენს სასწავლებლებს იცნობს (იხილე **Культурно-историческій очеркъ Западной Грузій, М. Сагарадзе**) და მოსწავლე ახალგაზდობის ბედით დაინტერესებულია, მისთვის ივ. შ-ძე არ არის უცხო პიროვნება. დააკვირდით ამ სახეს? რა კეთილ-შობილურია!!! რავდენი სათნოება, სიყვარული და კაცმოყვარეობაა ზედ აღბეჭდილი.—აი, შეხედეთ: ამ პიროვნებამ დაჰგმო პირადი ცხოვრება, მემკვიდრეობით დარჩენილი საკმაოდ დიდი ქონება საერო საქმეს შეალიია. პირად შვილებს (ცოლი არ შეურთავს) საზოგადოების შვილები არჩია და მათ მოვლა-აღზრდა-პატრონობაში მთელი სიცოცხლე გაატარა. თავისი მშობელი—დაბა ხონი სკოლებით დასერა, და მთელ რუსეთის იმპერიაში პატარა ხონი სწავლა-აღზრდის საქმეში თვალსაჩინო დაბათ აქცია. წყვდიადით მოცულ ჩვენს ხალხში ნათელი სთესა და ეს ნათელი დღეს ბრწყინვალედ კაშკაშებს ჩვენს საზოგადოებაში, ვით მთვარე ბნელით მოცულ ღამეში. შარაშიძემ 1881 წ. დაიწყო მოღვაწეობა. პირველი მისი ღვაწლი ქუთაისიდან ხონში სამოსწავლო სემინარიის გადმოტანა იყო. მას შემდეგ, თვით სწავლას მოკლებულმა, თავის სიცოცხლე სწავლა-განათლებას შეალიია. ხონში ამ პიროვნების შრომით და მოღვაწეობით 14 სასწავლებელია დაარსებული. აქვს უფასო სკოლა ღარიბთათვის, თავის პირადი საცხოვრებელი ბინა დღესაც უსასყიდლოთ სასწავლებელს უჭირავს. მალე 30 წელიშესრულდება, რაც ეს ნათელი პიროვნება თავის მშობელ დაბას თავზე ევლება და სინათლეს აპკურებს. როგორც გავიგეთ, ხონელებს განუზრახავთ თავის მოკეთის მოღვაწეობის 30 წლის თავი აღნიშნონ. განზრახვა ფრიად სიმპატიურია.

ბ—ი

# მიმიკა

(მე-III-ე წერილის დასასრული. იხ. «თეატრი და ცხოვრება» № 34)

როცა თქვენ თქვენს ტანს დააბჯენთ იმ ფეხზე, რომელიც წინ გადგით (ფიგურა 10), თქვენს მდგომარეობას ექნება შემდეგი მნიშვნელობა:

სურვილი,
თაყვანისცემა,
თხოვნა,
ვედრება,
დამტკიცება,
დარწმუნება,
ბრძანება,
დამუქრება,
ბრძოლა,
გულადობა.
ყურადღების მიქცევა,



ფიგ. 10

თუ თქვენ ისევე სდგეხართ, როგორც ახლად იდექით მხოლოდ წინა კოჭი ცოტათი მოკაკვეთ (ფიგურა 11), თქვენ მიიღებთ იმავე მნიშვნელობას, რომელიც 10 ფიქურაშია, მხოლოდ ახლა მათ უფრო მეტი ძალა ექნებათ, უფრო მეტი გამომეტყველება.

ტანის უკანა ფეხზე დაბჯენა (ფიგურა 12) გვაძლევს შემდეგ მნიშვნელობას:

| | |
|---|---|
| ეოუმანი, | ეჭვი მაქვს, |
| შიში, | შეკრთომა, |
| უარის თქმა, | უკუ-გდება, |
| გაკვირვება, | აღელვება, |
| ზიზღი, | დაუთანხმებლობა. |

ამ სიტყვების მნიშვნელობას ძალიან დიდი ძალა ემატება, როცა თქვენ უკანა ფეხს ცოტათი მოკაკვამთ, როგორც ნაჩვენებია ფიგურა (13)

ეროვნული ბიბლიოთეკა



ფიგ, 11



ფიგ. 12

ყველა ნათქვამიდან გამოგვყავს შემდეგი დასკვნა: უბრალო მდგომარეობა, როცა სხეული თქვენი დაბჯენილია ანუ დამყარებული ორივე კანჭზე, მიუხედავათ იმისა, ფეხები ერთმანეთზე არის მიკრული თუ განზე გაწეული ერთს სწორე ხაზზე, ასეთი მდგომარეობა საერთოდ ჰხატავს გულგრილობას, ან



ფიგ 13

კიდე დაფარულ გრძნობებს. როცა მსახიობისთვის საჭიროა გამოხატოს რაიმე აღელვება, სურვილი, ტანჯვა, ვნება, ვურჩევ უეჭველად თავისი სხეული მხოლოდ ერთს კანჭზე ჰქონდეს დაბჯენილი, დამყარებული, ან წინა ან უკანა კანჭზე — იმის დაგვარად, თუ რა გრძნობები აქვს გამოსახატი, — და აგრეთვე მოკაკოს, ცოტათ თუ ბევრათ, წინა ანუ უკანა ფეხი, — გრძნობისავე დაგვარად. ვიმეორებ, წინ და ან უკან ტანის წადებ-წამოდებას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს და მიმიკასაც უფრო მეტი ძალა და შთაბეჭდილება.

მეორე — ამ ჩვეულებიდან მსახიობს შეემატება კიდე ერთი ღირსება: ეს — ერთი ფეხი ყოველთვის თავისუფალი ექნება და მომზადებული ადგილიდან დასაძრავად, მაგალითად, თუ მსახიობს თავისი სხეული დაბჯენილი აქვს მარჯვენა კანჭზე,

მ

ას შეეძლება, როცა მიმიკურ ფრაზას დაათავებს, თავისუფლათ იხმაროს მარცხენა ფეხი და გასწიოს დანიშნულ ადგილისკენ გრაციოზულად, და არა ისე, როგორც ხშირად ჩადიან უვიცნი, რომელნიც ისე გულგრილად **დადიან** (მომიტევეთ) სცენაზე.

დაუმატებ აგრეთვე, რომ საკმარისი არ არის ამ სტრიქონების კითხვა და სურათების შინჯვა. ასე პატარა ბავშვები სჩადიან, — არამედ საჭიროა სწავლა, და ყველა იმ ფიგურის გაკეთება, რაც ნაჩვენები იყო.

**გიორგი ჯაბადარი**

ბრიუსელი (ბელგია)

# სათეატრო მიმოხილვა

## ძმ. ზუბალაშვილთა სახალხო სახლი

**სამშაბათს**, 31 **აგვ. ქართ. დრ. დას. მსახიობთ** ი. ივანიძემ, შ. საფაროვმა და ქ-ნმა ნებიერიძემ სცენის-მოყვარეთა დახმარებით წარმოადგინეს „ძველი და ახალი თაობა“. ვიდრე პიესის ღირსება — თამაშს შევეხებოდე, ავღნიშნავ შემდეგს:

საზოგადოდ სენათ გარდაიქცა საქველმოქმედოთ წარმოდგენების მართვა. კეთილი, ვიყვნეთ ქველმოქმედნი, მაგრამ ხელოვნებამ რა დააშავა?!. სამშაბათსაც გეახელით და გვეგონა არტისტების მეთაურობა ხელს შეუწყობდა, როგორც პიესის გვარიანათ ჩატარებას, ისევე მის ღირსებას: ხალხს მისცემდენ იმას, რაც საჭიროა, — მოვსტყუვდით.

აქაც ძველი ადათით უხელმძღვანელნიათ; „ბილეთები ხომ ხელზე იყიდება და „სბორი“ იქნება, ოღონდ ვითამაშოთ და რაც უნდა იყოსო“. ხალხსაც გაუმასპინძლდენ ისეთი აბსურდით, როგორიც „ძველი და ახალი თაობაა“. ჟურნალის ფურცლებს უფრთხილდები და მოკლედ ვიტყვი: ეს პიესა არქივშიც-კი ყველა პიესაზე ქვეშ უნდა იყოს მოქცეული. მას არც ახალ თაობის სცხია რამე და არც ძველის.

თამაში? მიკვირს რათ დასჭირდათ ბ. ივანიძეს და შ. საფაროვს გოგოლის ტიპების თამაში?! ამასთანავე ბ. საფაროვს ვურჩევთ, ნუ ეტანება სხვა და სხვა ტიპებს, ეყოფა სირაჯები.

ბ. ივანიძეს ადგილ-ადგილ არა უჭირდა-რა, თუმცა ნაძალადობა ეტყობოდა; ამასთანავე, როგორც ძველმა მსახიობმა, უნდა იცოდეს, რომ „ფრაჩნი პარაზე“ თავის დღეში არ იცვამენ ფერად ფეხსაცმელებს და ისიც ყველა მოქმედებაში ერთნაირს. არ გვგონია იმ ღენერალს, რომელსაც ივანიძე არდგენდეა, ერთ წყვილ ფეხსაცმელზე მეტი არა ჰქონოდა. ბ. მეტრეველმა და ბ. საფაროვმა სუსტად ჩაატარეს მესამე მოქ. ერთმანეთის შეხვედრა. ესევე მოუვიდა ბ. მეტრეველს მეოთხე მ-ში. დანარჩენნი ხელს უწყობდენ და შედარებით უფრო პირნათლად შეასრულეს თავიანთი მოვალეობა.

რეჟისურა სუსტი იყო. . . . . . . . . .

ეროვნული ბიბლიოთეკა

არ ვიცით, რომელ ქართველ მოხელეს აქვს ისეთი „ზალა“, როგორიც მესამე მ-ში გვიჩვენეს. თითქმის უმაღლეს არისტოკრატიასაც არ აქვს მსგავსი ზალა თბილისში. ერთი სიტყვით „სალონი“, სადაც ყვავიანტროპიკ . მცენარენი და ლერწამიცკი. მერე ასეთი სალონის პატრონიგანა თავის ქალს ისეთ საწოლ ოთახს გაუმართავს, რომელშიაც სალდათური კრაოტი და ლოგინი გვაჩვენეს!. იქნება გალარიბდა?!!. გარდა ამისა, შეუძლებელია ყოველ მოქმედებაში ოთახი იცვლებოდეს და სურათები-კი ერთი და იგივე რჩებოდეს... მართალია, ცალ-ცალკე ყველა ეს წვრილმანია, მაგრამ ერთად-კი ხელოვნების დამახინჯებაა.

დასასრულ გაიმართა დ ი ვ ე რ ტ ი ს მ ე ნ ტ ი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს ახალგაზდა მწერლებმა. მადლობის ღირსნი არიან, რომ ხალხი ცოტათი მაინც გამოაფხიზლეს და დაატკბეს ისეთის ხელოვნურის ნაწარმოებით, როგორიც იყო ბ. დ. ნახუცრიშვილის-მიერ წაკითხული მოთხრობა მწყემსის ცხოვრებიდან. ტკბილი ხალხური ენა, შნოიანი წაკითხვა და სიმშვიდე აუდიტორიის წინაშე,—ყველა ამას მიახწია ბ. ნახუცრიშვილმა და ხალხმაც ტაშის ცემით დააჯილდოვა.

მოგვეწონა ბ. ახოსპირელიც: შესაფერად წაიკითხა „ქრისტე აღსდგა“.

ბ. ნარკანი და ია ეკალაძე ღელავდენ, რითაც თავიანთი პოეტური ნაწარმოებნი დაჩრდილეს.

აფიშაში მოხსენებული იყო გრიშაშვილი, მაგრამ მონაწილეობა არ მიიღო, თუმცა იქ გახლდათ.

უსათუოდ „за кулисное интрижка“-ს აჰყოლია. მაინც არ შეშვენის ახალგაზდა პოეტს,—ეს ხალხის აბუჩათ აგდებაა.

ერთი შენიშვნაც. ზოგიერთ ჩვენს მსახიობთ სენათ სჭირთ, სადაც უნდა იყვენ, უსათუოდ დაგვანახონ უხაქმსო საცილი, ეს დაგვიმტკიცა ბ. ივანიძემ. როდესაც ბ. ნარკანი კითხულობდა და საინტერესო ადგილამდის მიატანა, ბ. ივანიძემ მარცხენა კულისიდან მარჯვნივ გაისეირნა.

ამ საქციელმა მიიპყრო საზოგადოების ყურადღება. დაიკარგა ის ფრაზები, რომელიც ამდროს იყო თქმული ნარკანის-მიერ. საზოგადოებამ ვერა გაიგო.რა.

თურმე რაში ყოფილა საქმე: ივანიძეს მოსდომებია „გმირობის“ გამოჩენა და ო რ მ ა ნ ა თ ზ ე დანაძლევებია ბ. ნ—ნს, კითხვის დროს სცენაზე გავივლიო.

გაიარა კიდეც და... 2 მ ა ნ ა თ ი ს მაცვლად ჯილდოთ ე რ თ ი მ ა ნ ა თ ი, მიიღო, მაგრამ საზოგადოების ესტეტიკის შელახვას რა პასუხს აძლევს?!.

**ედმონდ კინი**

## სახაზინო თეატრი

### ქ-ნი ა. ა. კოსინის ლექციები

(შთაბეჭდილებანი)

როდესაც კაცი ჰკითხულობს აფიშას გეოგრაფიულ-ეტნოგრაფიულ ლექციების შესახებ, სკეპტიკურათ გააქნევს ხოლმე თავს იმ აზრით, რომ იქ საინტერესო არა იქნება რაო. მას თვალწინ წარმოუდგება ლექტორი, მოსწყენი მეცნიერულის კილოთი და ნახევრად მძინარე, მთქნარებელი აუდიტორია....

მეც ასეთი წარმოდგენა მქონდა ქ-ნი კოსინის ლექციების შესახებ, მეგონა თუ არ სპეციალისტ-გეოგრაფებს, სხვას არავის დააინტერესებდა გეოგრაფიული ლექციები. ალბად ასეთივე წარმოდგენა აქვს კოსინის ლექციების შესახებ თბილისის საზოგადოებას და განსაკუთრებით ხალხსა და მოსწავლე ახალგაზდობას, რომ აგრე ნალებად ესწრება ლექციებს.

ნამდვილად-კი, სასიამოვნოდ, როგორც სხვანი, ისე მეც შევსცდი. ქ-ნი კოსინის ლექციები ძლიერ საინტერესოა, არამც თუ სპეციალისტებისათვის, არამედ მათთვისაც, ვისაც არავითარი გეოგრაფიული განათლება არ მიუღია. ეს ლექციები განსაკუთრებით საინტერესოა მდაბიო ხალხისა და მოსწავლე ახალგაზდობისათვის.

„ცნობები, რომელიც ქ-ნმა კოსინისამ მოგვაწოდა, ამბობს ერთი კრიტიკოსი,—„ყოველ გეოგრაფიულ სახელმძღვანელოში მოიპოვება“ და სხ. ეს სრულიად უსაფუძვლო საყვედურია, რადგანაც არც ერთ სახელმძღვანელოს არ აქვს ასეთი მშვენიერი გეოგრაფიულ-ეტნოგრაფიული ცნობის ხსენებაც, და შესანიშნავი სურათების შესახებ, რომელთაც ძლიერ დიდი სარგებელი მოაქვთ მოწაფეებისათვის, ხომ ლაპარაკიც მეტია. რასაკვირველია, ელიზე რეკლიუს თხზულებებში ნახავთ ქ-ნ კოსინის ლექციების მასალებს გარდა იმ საუცხოვო ლეგენდების და გადმოცემათა, რომელნიც ძლიერ აცოცხლებენ ლექციებს. მაგრამ აბა რომელი ჩვენგანი დაიკვეხის რეკლიუს თხზულებათა შესწავლით. განა ხალხსა და მოსწავლე ახალგაზდობას ძალუძს შეიძინოს და გაიკვლიოს გზა ასეთ ვეებერთელა თხზულებაში? რასაკვირველია—არა! ქ-ნი კოსინის ლექციები-კი სწორედ ამ მიზნით არის გამართული და ლექტორი ხალხისათვის გასაგებ ენაზე ჰკითხულობს. ვერც ერთი სახელმძღვანელო ვერ შესძენს ხალხსა და მოსწავლე ახალგაზდობას იმდენს, რამდენსაც ქ-ნი კოსინის ლექციები. მთელი წლის განმავლობაში გეოგრაფიის ზეპირობა უნაყოფოდ მიდის და მეორე წლის დასაწყისში ბავშვს არასოდეს არ ახსოვს ის, რაც პირველ წელს გაიარა; მაშინ, როდესაც საკმარისია კოსინის ერთი ლექციის მოსმენა (მაგალითად „ინდოეთი“), რომ მას სამუდამოდ დაახსოვდეს აუარე-

ბელი ცნობები ამ ზღაპრულ ქვეყნის შესახებ. ამას, რასაკვირველია, ძლიერ უწყობს ხელს, საუცხოვო ფეროვანი სურათები, რომლითაც აგრე მდიდარია ქ-ნი კორსინის ლექციები. მსმენელი ლექციებს უნებურად გადაყავს იმ ქვეყნებში, რომელსაც ეხება. იგი თითქოს თითონ მოგზაურობდეს კორსინასთან ერთად, თითონ ათვალიერებდეს ინდოეთის აუარებელ სიმდიდრესა და სიმშვენიერეს, საუცხოვო ბუნებას, მონუმენტებს და მდიდრულ ჩუქურთმებიან ძველ ნაშთებს, რომელნიც მოწმობენ ინდოეთის კულტურის ძლიერ განვითარებას, ავსტრალიის ველური ხალხებით, რომელნიც ჯერ კიდევ ვერ შერიგებიან ევროპიულ კულტურას, მაგრამ მის გავლენით ბევრი რამ შეუძენიათ და სარგებლობენ, ახალ ზელანდიის შესანიშნავ წყობილებას, იქაურ ხალხის რწმენა-ადათებს და სხ.

ვიმეორებთ, ამ ლექციებს დიდი მნიშვნელობა აქვთ მოსწავლე ახალგაზრდობისა და მდაბიო ხალხისათვის, რომელნიც მცირე დროის დაკარგვით ბევრს რასმე შეიძენდენ, რო დაიარებოდენ. ამ მხრივ დიდი მადლობის ღირსია ქ-ნი კორსინისა. მადლობის ღირსია აგრეთვე ბ-ნი მ. ა. მეგლერი, რომელმაც 1908-10 წელს მოიწვია ლისოვსკი და აბრამოვიჩი სახალხო ლექციების წასაკითხავად, ხოლო წელს კი—ქ-ნი კორსინისა.

**გედი**

# წვრილი ამბები

## ადგილობრივი

✦ **ქართული თეატრის სეზონი**, როგორც ვაცხადებდით, 19 სექტ. დაიწყება „სამშობლოთი“, ვ. შალიკაშვილის რეჟისორობით. იმისვე რეჟისორობით წარმოდგენილი იქნება „მზის ამოსვლამდე“, თარ. დ, ნახუცრიშვილისა, „სიმახინჯე“—ნ. შიუკაშვილისა; ვლ. ალ,-მესხიშვილის რეჟისორობით, პირველი წარმოდგენა—„გამხმარი ფოთოლი“, ნ. შიუკაშვილის, მეორე—„მირრა ეფროსი“, მესამე „სატანა“.

✦ **ქართ. დრამ. საზ-ის საშუალებათა** გასაძლიერებლად ამ მოკლე ხანში გაიმართება ფრიად საინტერესო წარმოდგენა—საღამო. საღამოში, სხვათა შორის, მონაწილეობას მიიღებს ჩვენი მხცოვანი მგოსანი აკაკი.

✦ **ქართ. დრამ. კურსების სკოლაში,** როგორც შევიტყეთ, გამომეტყველი კითხვის (განსაკუთრებით ლექსთა) ლექტორად მოწვეულ იქნება ჩვენი მცხოვანი მგოსანი აკაკი.

✦ **დრამ. საზ. გამგეობას** ყოველ დღე მოსდის სამგლოვიარო დეპეშები ნ. მ. გაბუნია-ცაგარლის გარდაცვალების გამო.

✦ **ნ. მ. გაბუნია-ცაგარლის** გარდაცვალების გამო რუსულ სათეატრო ჟურნალში „Р. и Ж.“ № 35 სამგლოვიარო წერილია დაბეჭდილი, ხოლო „Т. и И.“ № 34 განსვენებულ მსახიობქალის სურათი.

✦ **ნუცა ჩხეიძე** მომავალ სეზონისთვის ქუთაისის დასშია მიწვეული, ხოლო თბილისის სცენაზე საგასტროლოდ იქმნება ხოლმე მოწვეული.

✦ **მსახიობი ალ. იმედაშვილი** მომავალ სეზონისთვის ქუთაისშია მიწვეული.

✦ **ჭიათურის დრამ. საზ-ბა** ეძებს მსახიობ ქალს, წლიურად 600 მან. ჯამაგირით.

✦ **ქართულ დრამ. საზ-ის გამგეობის** ხელმძღვანელობით სდგება საოპერეტო დასი. ჯერ-ჯერობით მზადდება ოპერეტა „ჰაჯი მურადი“· მთავარ პარტიებს შეასრულებენ ტასო აბაშიძე—ქეთევანს, ვასო აბაშიძე—დათუას, კ. ცხომელიძე—ჰაჯი მურადს და სხ. ლოტბარობს პ. ფალიაშვილი.

✦ **ქუთაისის დასის რეჟისორებად** მიწვეული არიან ჩვენი თანამშრომელი შ. დადიანი და მ. ქორიძე.

✦ **კომიკს დ. აწყურელს**, როგორც შევიტყეთ, ქუთაისში იწვევენ.

✦ **თათრული დრამატიული საზოგადოება** სდგება თბილისში კავკასიის სანამესტნიკოში მცხოვრებ თათართა შორის სასცენო ხელოვნების განვითარების ხელშესაწყობად წარმოდგენების გამართვით. წესდება უკვე შემუშავებულია და მალე დამტკიცებულ იქმნება მოქმედებას დაიწყებს ძმ. ზუბალაშვილთა სახ. სახლში.

✦ **ტრ. რამიშვილმა** უკვე დაამთავრა თავისი ახალი ოთხ მოქმედებიანი დრამა, რომელიც მალე წარედგინება ქარ. დრ. საზ. გამგეობას.

✦ **მხცოვან დრამატურგს გ. ნ. სუნდუკიანცს** ამ ზაფხულს ბორჯომში ყოფნისას თავისი პიესა „სიყვარული და თავისუფლება“ ხუთ მოქმედებად გადაუკეთებია. პიესა სომხურად უკვე იბეჭდება და ამ დღეებში გასასყიდათაც გამოვა. ქართული თარგმანიც ორიგინალთან შესწორდება.

✦ **ქართ. წარმოდ. მმართ. წრე** სახალხო სახლში 11 სექტ. დაიწყებს სეზონს „ლალატი“-თ. შემდეგისთვის—„დღენი ჩვენი ცხოვრებისა“, „სატანა“ და სხ.

✦ **რუს. დრამ. წრე** 10 სექტემბ. იწყებს სეზონს. „ტაიფუნი“-თ.

✦ **უკრაინელთა წრე** 5 სექტ. წარმოადგენს „სტეპოვი გისტ“-ს მსახიობქალის ბელიაევის რეჟისორობით.

✦ **სომხური თეატრის სეზონი** დაიწყება ოქტომბრის შუა რიცხვებში. რეპერტუარი უმეტესად ახალი პიესებით არის შემდგარი. წარმოდგენები გაიმართება ხუთშაბათობით „არტ. თეატრში“ და კვირაში ერთხელ „საკრ-ში“.

✦ **სომხ. საზ. გამგეობა** სტამბოლიდან იწვევს სახელგანთქმულ მსახიობთ ქ-ნ პენე მეჭიანს, ბბ. ფაფაზიანსა და სვაჭიანს. დასში მონაწილეობას მიიღებენ აგრეთვე აბელიანი, არმენიანი (რეჟისორი), დურიან-არმენიანი და სხ.

✦ **სომხ. ხელოვ. ჟურ. „გელარვესტის“** რედაქტორს გ. ლევონიანს განუძრახავს თვის სახელოვნო კურსების გაფართოვება. მომავალ წლიდან გაკვეთილები რუსულ ენაზედაც წაიკითხება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

✦ **სომხ. დრამ. საზ-ის გამგეობის დავალებით** ჩვენი თანამშრომელ Artemius-ი სომხურად სთარგმნის ივ. გომართლის „დრამატიულ გამგეობის წევრ“-ს. პიესა მომავალ სეზონში დაიდგმება.

✦ **ფრანგულიდან ქართულად** ნარკანი სთარგმნის ანრი ბატაილის პიესას „Vieqec folles“-ის.

✦ **სახალხო სახლის** სომხ. სექ-ის სცენის მოყვარე დავითხანიანი პეტერბურგს წავიდა პეტროვსკის დრამატიულ კურსებზე.

✦ **სომხ. სექციას** მომავალ სეზონისთვის ქართულიდან ნათარგმნი აქვს: აზიანის—„გაცრუებული იმედები“, ირეთელის „დამარცხებულნი“ და „ქრისტინე“, ტრ. რამიშვილისა—„ექიმი აშირბაჯიანი“, გომართელის „დრამატიულ გამგეობის წევრი“.

✦ **სახ. სახლის სომხ. სექციას** აზრადა აქვს—გადაიხადოს თავის დაუღალავ მუშაკის საყვარელ მსახიობქალის ზაბელას 30 წლის სცენაზე მოღვაწეობის იუბილე. ზაბელი ხალისიანად მონაწილეობდა სახალხო წარმოდგენებში, როგორც აუდიტორიაში, ისე მურაშკოს, არაქსიანის თეატრებში და ახლაც სახალხო სახლში მუშაობს,

✦ **„ არტისტ. თეატრის“ გამგეობამ** ბაქოდან მიიღო შემდეგი შინაარსის დეპეშა: „მათი უმაღლესობის სოლისტი შალიაპინი 22 ენკენისთვისთვის გთხოვთ თეატრს კონცერტის გასამართავად“.

✦ **„არტის. საზ-ის თეატრში“** მდგომარე სეზონისთვის ნიკულინის დრამატიული დასი იმუშავებს.

✦ **სახაზინო თეატრში.** მდგომარე სეზონშიაც ოპერის დასი იმუშავებს, ა. ა. ეიხენვალდისვე გამგეობით. დასში ირიცხებიან: ს ო პ რ ა ნ ო—ვიკშემსკაია, დონსკაია-ეიხენვალდი, მენცერი, ლანსკაია, კოვალჯი, ფერრარი: მ ე ც ც ო-ს ო პ რ ა ნ ო—სკიბიცკაია, მოროზოვისა, ავგუსტინოვიჩი; ელაგინი. ტ ე ნ ო რ ე ბ ი—მათვეევი, ლიპეცკი, ფონ-რიგენი, კორჩმარევი, მურავიოვი, პევცოვი; ბ ა რ ი ტ ო ნ ე ბ ი—ტომსკი, ლეონიდოვი, პლახოტინი, სოლოვიოვი; ბ ა ს ე ბ ი—მორჯუხინი, გალეცკი, იახონტევი, პლატოვი, დემიანენკო. ლ ო ტ ბ ა რ ე ბ ი—ალმაზოვი, ვასილიევი; გ უ ნ დ ი ს მ ე ს ვ ე უ რ ი—ვარშონი, რ ე ჟ ი ს.—შოსტანი, თ ა ნ ა შ ე მ წ ე—აგაფონოვი; მოცეკვავეთა მ ე ს ვ ე უ რ ი—რომანოვსკი. პ ი რ ვ ე ლ ი მ ო ც ე კ ვ ა ვ ე ქ ა ლ ი—ოსოვსკაია; ს ო ლ ი ს ტ ი ქ ა ლ ი—ლიუკასი; კ ო რ დ ე ბ ა ლ ე ტ შ ი—ბალდინისა, ზელინსკისა, მოროზოვისა, ალექსეევი, ნოვიკოვისა, კარასსო, მარგოვსკაია, ეფიმოვისა, ნადინისა, მ ო ც ე კ ვ ა ვ ე ნ ი—რომანოვსკი, მარკოვსკი; გუნდში—50 კაცი, ორკესტრში—40 კაცი.

✦ **ავჭალის აუდიტორიაში** 8 სექტ. იწყება სეზონი რუსულ პიესით „ახალ ოჯახში“.

✦ **სახალხო სახლში** რუს. დრამ. წრე ყოველ პარასკეობით სახელოვნო საღამოს გამართავს ხოლმე.

✦ **ცნობილი ქართველი მუსიკოსის ა. ნ. ყარაშვილის** მუსიკალური ნაწარმოებნი, ვარშავაში გამოცემული, უკვე მიიღეს თბილისის სამუსიკო მაღაზიებმა გასასყიდათ: «ბაიათი» სოლო სკრიპკისათვის, როიალის აკომპანიმენტით, იგივე—სოლო სკრიპკისათვის; «საზანდარი» (სამშობლო) სოლო როიალისათვის, «ფუტკარი»—სოლო სკრიპკისათვის, როიალის აკომპანიმენტით. როგორც ვიცით ბ-ნმა ყარაშვილმა ამ ახალ ნაწარმოებთა გარდა, სხვაც ბევრი საუცხოვო ნაწარმოები შეგვმატა: მასვე ეკუთვნის ორი „მაზურკა“ სკრიპკისათვის, «Perpentum nobile» სკრიპკებისთვის; რომანსი «ისევ შენ«; «დაავრდომილი სხეული» (კ. მაყაშვილს სიტყვებით) და სხ. ყველა ესენი მშვენიერად არის გამოცემული.

## ᲠᲣᲡᲔᲗᲘ

✦ **ლ. ანდრეევის ახალი პიესა „Gaudeamus“-ი** შეეხება სტუდენტთა ცხოვრებას.

✦ **თ. ი. შალიაპინმა** მდ. ვოლგას ნაპირას შეისყიდა 103 დესეტინა მიწა, სადაც სახლის აშენებასა და ღარიბ მოწაფეებთათვის უფასო სკოლის გამართვას აპირებს.

✦ **დაიწვა საზაფხულო თეატრი** მალოხოვკაში. ზარალი 25,000 მ.

✦ **ყოველდღიური სათეატრო გაზეთი** გამოდის 30 აგვისტოდან პეტერბურგში ამ სათაურით „С.-Петербургскія Театральныя Вѣдомости“. ამნაირი, სპეციალური ყოველდღიური გამოცემა პირველია რუსეთში. გაზეთის ადრესი: პეტერბურგი, იტალიის ქუჩა, № 15.

✦ **ტამბოვის გუბერნატორმა** აკრძალა ლ. ანდრეევის პიესა „დღენი ჩვენი ცხოვრების“ წარმოდგენა.

✦ **ლ. ანდრეევი** სწერს «ოკეანე»-ს.

## ᲣᲪᲮᲝᲔᲗᲘ

✦ **საფრანგეთის პირუტყვთა მფარველმა საზოგადოებამ** დიდი ჯილდო მიუსაჯა როსტანს „ფრინველთადმი სიყვარულის გამო“, რომელიც ვითომდა „შანტეკლერში“ გამოიჩინა.

✦ **ბერლინში წარმოადგინეს** მ. გორკის პიესა „უკანასკნელნი“, რომელმაც მეტად სუსტად ჩაიარა და არავის მოეწონა. კრიტიკოსებმა ქარ-ცეცხლში გაატარეს პიესა. ამბობენ—მ. გორკი რავდენადაც დიდი პოეტი-მხატვარია, იმდენად ცუდი დრამატურგიო.

✦ **გაიფიცნენ** პარიზის თეატრის—„Chatelet“ მემანქანე მუშები, რის გამოც წარმოდგენები შესწყდა. ელიან პარიზის თეატრთა მუშების საერთო გაფიცვას.

## ᲓᲐᲑᲐ-ᲡᲝᲤᲚᲔᲑᲘ

✦ **სოფ. მაჩხაანი** (სიღნაღის მაზ.). 30 მკათ. ადგილობრივ სცენის მოყვარეთა ა. ახმეტელაშვილის რეჟისორობით წარმოადგინეს ა. სუმბათაშვილის „ღალატი“. პიესისათვის სულ ახალი ტანისამოსი და დეკორაციები მოამზადეს, მთელი ორი თვე ემზადებოდენ და პიესამაც შესანიშნავად ჩაიარა. მშვენივრად შეასრულეს ზეინაბის როლი ა. ჯანყარაშვილის ასულმა, ოთარბეგი—ვ. ალუღვიშვილმა, სულეიმან-ხანი—ტ. ბაღაშვილმა და ირაკლი—რ. ნასიძემ. დანაჩენი მონაწილენიც ხელს უწყობდენ და მიტომაც წარმოდგენამ კარგი შთაბეჭდილება მოახდინა დიდძალ დამსწრე საზოგადოებაზე.

**დ. აბ—ლი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ყრუ სოფელში

სცენები სამ მოქმედებად სოფლის ცხოვრებიდან

## VI

იგინივე და **სევერიანი,** სოფლის მასწავლებელი.

**სევერიანე.** (მიიჭრის შეჯგუფულ ხალხისაკენ) რა მოხდა, რა ამბავია! (შეიჭრება ხალხში, მიმიშვით, ბატონებო! (გზას აძლევენ; სევერიანი მიდის, მაჯას უსინჯავს გულშეწუხებულ გლეხს) დაუსიცხავს საწყალი... აბა, ცოტა უკან დაიწიეთ, თორემ უარესად გახდება. წყალი ყმაწვილო, ცოტ-ცოტა მიაშხურე. (მაჯას კიდევ უსინჯავს) მაჯა ცუდათ უცემს... სახლში შევიყვანოთ, ბატონებო, სახლშითორემ ამის აქ გაჩერება საშიშოა, ექიმთანაც ვაფრინოთ კაცი... თუ დროზე მოასწრო, შეიძლება რამე უშველოს.

**ნიკო.** თუ ეს მოკვდა, ამოვარდა მაგის ოჯახი და ეს არის. მთელ ოჯახს ეს მოხუცებული ინახავს და არჩენს.

**სევ.** აბა, რას უცდით?.. აიყვანეთ ფრთხილათ და შეიყვანეთ სახლში. უკანა ოთახი თავისუფალი უნდა იყოს და იქ დავაწვინოთ. (ავადმყოფი ფრთხილად მიჰყავთ)

**პეტ.** იქცევა ერთი ოჯახი.

**სევ.** აბა, ახლა ექიმთან გავგზავნოთ ვინმე. (გოგიას დაინახავს) ოო, გოგიაც აქ ყოფილა. გაფრინდი, გოგია, ექიმთან. ნუ დაიზარებ,—ცოტა შორს კია, მაგრამ არა უშავს რა. ეტლით წამოხვალთ, მხოლოთ იჩქარეთ კი, რავდენადაც შესაძლო იქნება. მეეტლეს მე მივცემ ფულს.

**გოგია.** კი, ბატონო! როგორ დავიზარებ. (გაბრუნდება და სწრაფად მიდის)

**სევ.** (მიმავალ გოგიას) აბა, თქვენ იცით, გოგია, როგორ მალე მობრუნდებით.

**ნიკო** (სევერიანეს) როგორ შეატყვეთ, ბატონო?.. მორჩება?

**სევერ.** (მხრებს აიწევს) რა მოგახსენოთ... არაფრის თქმა არ შემიძლია... ვნახოთ, ექიმი რას გვეტყვის.

**1 გლ.** რა კეთილი და შემცოდე კაცია, ღმერთმა უკურთხოს მშობლები.

**2 გლ.** კაცი კი არა, სწორედ ანგელოზია ეს დალოცვილის შვილი.

**პეტ.** ორი წელიწადია, რაც ჩვენ სოფელშია და ერთს სულდგმულს ვერ ნახავ, მაგის მადლიერი არ იყოს.

**1 გლ.** მერე „უჩენიკებსაც“ როგორ უყვარს; ერთსაც ვერ ათქმევინებ მაგის ძვირს. ლაპარაკობენ, ზარმაც „უჩენიკებსაც“ კი შეაყვარა სწავლაო.

**ივანე.** ღმერთმა გაცოცხლოს და გადღეგრძელოს, ბატონო უჩიტელო, გაჭირვებულის გაკითხვა რომ გიყვარს.

**სევ.** ყველანი მოვალენი ვართ დავეხმაროთ ჩვენს მოძმეს,

**პეტ.** ასე კარგია სწავლულობა. თქვენ, ბატონო, იცით, სად როგორ მოვიქცეთ, ჩვენ კი რა გაგვეგება.

**სევ.** არა, პეტრე-ბატონო, ასეთ შემთხვევებში სწავლულობა რა საჭიროა. ვინ არ იცის, რომ გაჭირვებულს დახმარება ესაჭიროვება...

**ნიკო.** (აწყვეტინებს) პირველმა—ჩვენმა მამასახლისმა არ იცის.

**სევ** (ნიკოს გაღიმებული გადახედავს და განაგრძობს) როდესაც მე მიჭირს, შენ უნდა დამეხმარო; შენ რომ გაგიჭირდება, მაშინ მემ დაგეხმარები. ამნაირათ შეუმსუბუქებთ ერთმანეთს გაჭირვებას. ეს ყველამ კარგათ ვიცით, მაგრამ, სამწუხაროდ, საქმით კი არ ვამართლებთ. ნათქვამია, „ძაღლი ძაღლის ტყავს არ დახევსო“. შეიძლება ძაღლს მართლაც ებრალებოდეს ძაღლის ტყავი, მაგრამ ჩვენ კი ვიბრალებთ ჩვენს მოძმეს?.. ჩვენ, ჭკუა-გონებით დაჯილდოვებულნი ადამიანნი, ბუნებით მაღალი ქმნილებანი არამც თუ ჩვენი მოძმის ტყავს დავხევთ, თუ შემთხვევა მოგვეცა, მის ხორცსაც კი შევჭამთ.

(სხვა ჯგუფიდან ხმაურობა და ხუმრობა მოისმის)

**ნიკო.** დაჩუმდით, ხალხო! გაგვაგონეთ ბატონი უჩიტლის ლაპარაკი,

**სევ.** (განაგრძობს) ეს ძლიერ ცუდია. ჩვე ყველამ ხელი-ხელ ჩაკიდებული უნდა ვიაროთ, და თუ რომელიმე ჩვენთაგანი წაიქცევა, უნდა მივეშველოთ და ფეხზე წამოვაყენოთ. თქენისთანა ღარიბ ხალხისთვის უფრო მეტად არის საჭირო ასეთი ერთობა, ერმანეთისთვის დახმარების ხელის გაწვდა.

(შემდეგი იქნება)

**ვ. ჭავჭანიძე**

რედაქტორ-გამომცემელი **იოსებ იმედაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიიღება ხელის მოწერა

# „თეატრი და ცხოვრება"-ზე

წლიურად 5 მან. ნახევარ წლით 3 მან.

---

**Вновь открыта обширная**

ТИПОГРАФІЯ

## „ГЕРМЕСЪ"

Принимаются

всевозможныя типографскія и переплетныя работы

**по весьма умѣреннымъ цѣнамъ.**

**Заказы исполняются изящно и аккуратно.**

*Мадатовская № 5.*

---

თბლისის წიგნის მაღაზიებში ისყიდება

## გ. მ. თუმანიშვილის

წ ი გ ნ ე ბ ი.

## Характеристики и воспоминанія

3 выпуска, цѣна каждаго 50 коп.

---

Типографія „ГЕРМЕСЪ" Мадатовская ул. № 5.